№ 8
„04" 12 2008 წ. 1

# საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

**№ 805 2008 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი**

**გიორგი ბოკერიას საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ**

„საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ქ. ბრიუსელში 2008 წლის 3 ნოემბერს ხელმოწერილ „ევროკავშირსა და საქართველოს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ" შეთანხმებაზე (N 1/376, 28.11.08) საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ბოკერია.

მიხეილ სააკაშვილი